ხელშეკრულება № 96
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ტყიბული

15 ივნისი 2017 წელი

ერთი მხრივ, ს.ს.ი.პ. ტყიბულის მუნიციპალიტეტი (შემდგომში ,,შემსყიდველი'') წარმოდგენილი გამგებლის რობიზონ გვენეტაძის სახით და მეორე მხრივ შ.პ.ს. „მაიპისი" (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი დირექტორის ნატალია ქვარიანის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე აფორმებენ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1 შესყიდვის ობიექტია საქაღალდეების, ბლოკნოტებისა და რვეულების მოწოდება (შემდგომში „საქონელი")

CVP კლასიფიკატორის კოდი: 22800000

2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

2.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს 210 (ორასათი) ლარს.
2.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება მოიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ყველა გადასახადს.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების წესით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მიმწოდებლის მიერ სააქონლო ზედნადებისა და/ან საგადასახადო ანგარიშფაქტურის წარდგენის საფუძველზე.
3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. საქონელის მიღება-ჩაბარების წესი

4.1. საქონელი მიწოდებულად ჩაითვლება მხოლოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.
4.2. შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის ხელმომწერი პირია ტყიბულის მუნიციპალიტეტის გამგებლი რობიზონ გვენეტაძე.

5. საქონელის მიწოდების ადგილი და ვადა

5.1. საქონელის მიწოდება განხორციელდება მისამართზე ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი N3
5.2. საქონელის მიწოდება განხორციელდება ხელშეკრულების გაფორმებიდან 2017 წლის 30 ივნისამდე.

6. მხარეთა უფლება–მოვალეობები

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება.
6.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონელის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

7. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

7.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი, რომლის მიზანია საქონლის შესაბამისობის დადგენა ხელშეკრულებით

გათვალისწინებულ პირობებთან და შემსყიდველის მოთხოვნებთან.

8. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 0,1%-ის ოდენობით.

8.2 პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

8.3 მხარეებს არ დაეკისრებათ პასუხისმგებლობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობის, არაჯეროვანი შესრულების ან ვადის გადაცილებისათვის თუკი, შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებებით

8.4. ,,ფორს–მაჟორი" ნიშნავს მხარეებისათვის გადაულახავ და მათი კონტროლისაგან დამოუკიდებელ გარემოებებს, რომლებიც არ არიან დაკავშირებული შემსყიდველისა და/ან მიმწოდებლის შეცდომებსა და დაუდევრობასთან, რომლებსაც გააჩნია წინასწარ გაუთვალისწინებელი ხასიათი.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

9.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

9.2. ხელშეკრულების პირობების შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

9.4 მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს 9.3 პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ

9.5. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის 2017 წლის 15 ივნისიდან და მოქმედებს 2017 წლის 30 ივლისის ჩათვლით.

12. მხარეთა რეკვიზიტები:

შემსყიდველი	**მიმწოდებელი**
ს.ს.ი.პ. „ტყიბულის მუნიციპალიტეტი“	შ.პ.ს. „მაიპისი“
ქ. ტყიბული, კ. ლომაძის მოედანი N3	ქ. ქუთაისი, ისიანის N9
საიდენთიფიკაციო კოდი 219636259.	საიდენთიფიკაციო კოდი 412694071
სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიში	ს.ს. „პროკრედიტ ბანკი“ ბ.კ. MIBGGE22
	ა.ა. GE23PC0213600100015506

შემსყიდველი

მიმწოდებელი